ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №3168711

ნომერი: AR1488335

თარიღი : 21.03.2017

გაცემის თარიღი : 28.03.2017

გაცნობის თარიღი : 28.03.2017

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , სამგორის მაგისტრალურ არხსა და თეთრ ხევს შორის, (ნაკვ. 38/015) ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ზურაბ ნადირაძე პ/ნ 01024017910
- თბილისი ბახტრიონის ქ. N 29 ბ. 68

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები
- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილება

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2017 წლის 17 თებერვლის №3103570 ბრძანებით დამტკიცებულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილების შეტანის თაობაზე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2017 წლის 21 მარტის #AR1488335 განცხადებით მომართა მოქ. ზურაბ ნადირაძემ და მოითხოვა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2017 წლის 17 თებერვლის №3103570 ბრძანებით დამტკიცებულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილების განხორციელება.

სამსახურმა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2017 წლის

17 თებერვლის №3103570 ბრძანებით, სამგორის მაგისტრალურ არხსა და თეთრ ხევს შორის (ნაკვ. 38/015), არსებულ მიწის ნაკვეთზე, მრავალადგილიანი ავტოსადგომის, სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის ობიექტების (ავტობუსებისთვის ღია ავტოსადგომი, სარემონტო-სამრეცხაო ბოქსები და ადმინისტრაციულ-საყოფაცხოვრებო შენობა) განთავსების მიზნით დამტკიცდა მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები (საკადასტრო კოდი: #01.19.10.038.051; მიწის ნაკვეთის ფართობი: 2500 კვ.მ,).
ამჟამად, განმცხადებელი ითხოვს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2017 წლის17 თებერვლის №3103570 ბრძანებით დამტკიცებულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილების შეტანას, კერძოდ, ფუნქცია/დანიშნულებად დაფიქსირდეს სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის ობიექტები (ავტობუსებისთვის ღია ავტოსადგომი, სარემონტო-სამრეცხაო ბოქსები, ადმინისტრაციულ-საყოფაცხოვრებო შენობა და საკონტროლო-გამშვები პუნქტის შენობა); ხოლო მშენებლობის სახეობად განისაზღვროს: ახალი მშენებლობა; რეკონსტრუქცია;
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში ცვლილების ან დამატების შეტანის უფლება აქვს მის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს.
დოკუმენტაციის გადამოწმების შედეგად, სამსახურმა ქალაქგეგმარებითი თვალსაზრისით მიზანშეწონილად მიიჩნია ცვლილების შეტანა 2017 წლის 17 თებერვლის №3103570 ბრძანებით დამტკიცებულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში.

"მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57-ე დადგენილების და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად

ვბრძანებ

1. შეტანილ იქნეს ცვლილება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2017 წლის 17 თებერვლის №3103570 ბრძანებით დამტკიცებულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში და ფუნქციურ დანიშნულებად დაფიქსირდეს: სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის ობიექტები (ავტობუსებისთვის ღია ავტოსადგომი, სარემონტო-სამრეცხაო ბოქსები, ადმინისტრაციულ-საყოფაცხოვრებო შენობა და საკონტროლო-გამშვები პუნქტის შენობა), ხოლო მშენებლობის სახეობად დაფიქსირდეს: ახალი მშენებლობა; რეკონსტრუქცია;
2. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2017 წლის 17 თებერვლის №3103570 ბრძანებით დამტკიცებულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებს შენიშვნის სახით დაემატოს: საექსპერტო შეფასების განხორციელება სარეკონსტრუქციო შენობა–ნაგებობის მდგადობის შესახებ;
3. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2017 წლის 17 თებერვლის №3103570 ბრძანებით დამტკიცებულ მიწის ნაკვეთის შამშენებლოდ გამოყენების პირობებთან ერთად;

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, სამსახურის ტექნიკური პრობლემების ცხელ ხაზზე - 2378346, ან ისარგებლოთ არქიტექტურის სამსახურის ონლაინ კონსულტაციის სერვისით, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.